



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 60

2016 წელი 23 ივნისი

ხაშური




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №150 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მომართეს ტკოცის და ქემფრის საჯარო სკოლების დირექტორებმა პედაგოგების დამატების შესახებ, რომლებსაც ესაჭიროებათ ხაშურიდან სოფელ ტკოცაში და სოფელ ქემფერში უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის 2016 წლის მუნიციპალურ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 15 დეკემბრის №150 განკარგულებაში, პროგრამის დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად);
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15);

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი განათლების მომსახურებისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდა, მათი განვითარება და სკოლისათვის მომზადება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ, სოფლებში: ვაყაში, ხცისში, ნაბახტევში, ფლევში, ქვიშხეთში, ბიჯნისში, ჩუმათელეთში, ტეზერში, წრომში და წაღვლში ედუკატორის და იუნსეფის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შექმნილი სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრების ფუნქციონირება.

პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებას სასწავლო პროცესში.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს დაწესებულებებში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას.

პროგრამის ხანგრძლივობა

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 33 600 ლარი.

სულ სუბსიდიის ოდენობა	33 600
მათ შორის შრომის ანაზღაურება	23 375

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

_სოფლის მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურების ხელმისაწვდომობა;

_ მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება.

_სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული დაწესებულებების ფუნქციონირება.

შეფასების ინდიკატორი:

- აღსაზრდელთა რაოდენობა

1	პროგრამის სათაური	ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა
2	პროგრამის მიზანი	ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების სამუშაო ადგილზე დამაგრების ხელშეწყობა
3	პროგრამის რეგულირების სფერო	კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა
4	პროგრამის მოსარგებლე პირთა წრე, ბენეფიციარები	ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების 39 პედაგოგი (დანართის შესაბამისად).
5	ბენეფიციართა რაოდენობა	39 საჯარო პედაგოგი
6	პროგრამის მოქმედების ვადა	01.01.2016წ - 31.12.2016წ
7	პროგრამის დაწყების თარიღი	01.01.2016 წ.
8	პროგრამის დასრულების თარიღი	31.12.2016 წ.
9	პროგრამის ბიუჯეტი	20 000 ლარი
10	დაფინანსების წყარო	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი
11	პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე	მარტივი
12	პროგრამის განხორციელების მექანიზმი	კონკრეტული სკოლის პედაგოგები პროგრამის ცხრილით გათვალისწინებული (დანართი №1 შესაბამისად) მგზავრობის ღირებულებას მიიღებენ ყოველი თვის ბოლოს-შესაბამისი სკოლის დირექციის ცნობის საფუძველზე, რითაც დასტურდება პედაგოგის მიერ კვირეული დატვირთვით განსაზღვრული საათების შესრულება. საკითხის ადმინისტრირებას აწარმოებს საფინანსო-საბიუჯეტო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების სამსახური
13	გადაწყვეტილების მიმღები პირი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

